პავლე მოციქულის მეორე წერილი თესალონიკელთა მიმართ

მადლიერება

1 პავლე, სილოანე და ტიმოთე თესალონიკელთა ეკლესიას ჩვენს მამა ღმერთში
და უფალ იესო ქრისტეში:
2 მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა
და უფალ იესო ქრისტესაგან.
3 ვალდებულნი ვართ, ვმადლობდეთ ღმერთს თქვენთვის, ძმებო, როგორც შეეფერის, რადგან უაღრესად იზრდება თქვენი რწმენა და მრავლდება ყოველი თქვენგანის სიყვარული ერთმანეთის მიმართ.
4 ისე რომ, თავადაც ვიკვეხნით თქვენით ღვთის ეკლესიებში თქვენი მოთმინებით
და რწმენით ყოველ დევნასა
და გასაჭირში, რასაც ითმენთ.

შეჭირვება შემაჭირვებლებს უფლის მოსვლისას

5 ეს არის ღვთის სამართლიანი განკითხვის ნიშანი,
რომ ღირსნი იქნებით ღვთის სასუფევლისა, რომლისთვისაც იტანჯებით კიდეც.
6 რადგან სამართლიანია ღვთის წინაშე, რომ ჭირი მიეგოს თქვენს შემაჭირვებლებს,
7 თქვენ კი, შეჭირვებულებს – შვება ჩვენთან ერთად, როდესაც უფალი იესო გამოცხადდება ციდან თავისი ძლიერების ანგელოზებითურთ
8 და ცეცხლის ალით იძიებს შურს მათზე, ვინც არ შეიცნო ღმერთი და არ ემორჩილება უფალ იესოს სახარებას,
9 ვინც სასჯელად მიიზღავს მარადიულ დაღუპვას უფლის პირისაგან და მისი ძლიერების დიდებისგან.
10 როცა ის მოვა, იმ დღეს, რათა განდიდდეს თავის წმიდებს შორის და მიეგოს პატივი ყველა მორწმუნეს, რა-

თა იწამოთ ჩვენი მოწმობა
თქვენს მიმართ იმ დღეს.
11 ამიტომ ვლოცულობ მუ-
დამ თქვენთვის, რომ ჩვენმა
ღმერთმა გაგხადოთ მოწოდე-
ბის ღირსნი და ძალით სრულ-
ყოს ყოველგვარი სასიკეთო
სათნოება და რწმენის საქმე.
12 რათა იდიდოს ჩვენი უფ-
ლის იესოს სახელმა თქვენში
და თქვენ კი მასში, ჩვენი
ღვთისა და უფალ იესო ქრის-
ტეს მადლით.

ის აჯავებს უფლის მოსვლას

2 აჰა, გთხოვთ, ძმებო, ჩვე-
ნი უფლის იესო ქრისტეს
მოსვლისა და მასთან ჩვენი
შეკრების გამო,
2 რათა მალე არ შეიძრას
თქვენი გონება და არ შეშ-
ფოთდეთ არც სულით, არც
სიტყვით და არც ვითომდაც
ჩვენგან გამოგზავნილი წერი-
ლით, თითქოს უკვე დადგაო
უფლის დღე.
3 არანაირად არ გაცდუ-
ნოთ ვინმემ, ვინაიდან ის დღე
არ დადგება, სანამ ჯერ განდ-
გომილება არ მოვა და არ გა-
მოჩნდება ურჯულოების კა-
ცი, ძე დაღუპვისა,
4 წინააღმდგომი და აღზე-
ვებული ყოველივეზე მაღ-
ლა, რაც კი რამ სახელდებუ-
ლია ღმერთად და სამსახუ-
რებლად. ისე რომ, ღვთის
ტაძარშიც კი დაჯდება იგი,
როგორც ღმერთი და თავს
ღმერთად გამოაცხადებს.
5 განა არ გახსოვთ, რომ
ჯერ კიდევ თქვენთან ყოფნი-
სას გეუბნებოდით ამას?
6 ახლა იცით, რა აკავებს
მას, რომ გამოცხადდეს თავის
დროზე.
7 ვინაიდან ურჯულოების
საიდუმლო უკვე მოქმედებს,
ოღონდ ახლა შემკავებელი
აკავებს, სანამ შუაგულიდან
არ იქნება გაყვანილი.
8 მაშინ გამოცხადდება
ურჯულო, რომელსაც უფა-
ლი იესო გაანადგურებს თა-
ვის ბაგეთა სულით და განა-
ქარვებს თავისი მოსვლის გა-
ცხადებისას,
9 მას, რომლის მოსვლა სა-
ტანის მოქმედებით არის, ყო-
ველგვარი ყალბი ძალით, ნი-
შნებითა და სასწაულებით,

10 და უსამართლობის ყველა საცდურით დაღუპულთათვის, იმის გამო, რომ მათ არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად.
11 ამისათვის გაუგზავნის მათ ღმერთი მცდარ ქმედებას, რათა იწამონ სიცრუე,
12 რათა დაისაჯოს ყველა, ვინც ჭეშმარიტება არ იწამა და მოიწონა უსამართლობა.

გეპყრათ ჩვენი გადმოცემები სიტყვით თუ წერილებით

13 ხოლო ჩვენ ყოველ ჟამს უნდა ვუმადლოდეთ ღმერთს თქვენი გულისათვის, უფლის მიერ საყვარელო ძმებო, რომ ღმერთმა დასაბამიდან ამოგირჩიათ დასახსნელად, სულის განწმედით და ჭეშმარიტების რწმენით,
14 რისთვისაც მოგიწოდათ ჩვენი სახარებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დიდების მისაღწევად.
15 მაშ ასე, ძმებო, მტკიცედ იდექით და გეპყრათ გადმოცემები, რომლებიც გისწავლიათ ჩვენი სიტყვით თუ წერილით.
16 ხოლო თავად ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ და ჩვენმა ღმერთმა და მამამ, რომელმაც შეგვიყვარა და მოგვმადლა მარადიული ნუგეში და კეთილი იმედი,
17 ანუგეშოს თქვენი გულები და განგამტკიცოთ ყოველ კეთილ საქმესა და სიტყვაში.

თხოვნა ლოცვაზე

3 აბა, ძმებო, ილოცეთ ჩვენთვის, რათა უფლის სიტყვა გავრცელდეს და განდიდდეს, როგორც თქვენს შორის არის,
2 რათა განვერიდოთ უწესო და ბოროტ ადამიანებს, ვინაიდან ყველაში როდია რწმენა.
3 მაგრამ სარწმუნოა უფალი, რომელიც განგამტკიცებთ თქვენ და დაგიცავთ ბოროტისაგან.
4 ჩვენ კი გვჯერა თქვენს გამო უფალში, რომ ასრულებთ და კვლავაც შეასრულებთ, რასაც გამცნებთ.
5 უფალმა წარმართოს თქვენი გულები ღვთის სიყ-

ვარულში და ქრისტეს მოთ-
მინებაში.

მოეხიდონ უწესოებს

6 ჩვენ კი გამცნებთ, ძმებო,
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სა-
ხელით, რომ ჩამოშორდეთ ყო-
ველ ძმას, რომელიც უწესოდ
იქცევა და არა იმ გადმოცემი-
სამებრ, ჩვენგან რომ მიიღეთ.
7 რადგან თქვენ თვითონ
იცით, როგორ უნდა გვბაძავ-
დეთ ჩვენ, ვინაიდან უწესო-
ნი არ ვყოფილვართ თქვენს
შორის.
8 მუქთად არავისი პური
გვიჭამია, არამედ დღედაღამ
შრომა-გარჯაში ვიყავით, რომ
რომელიმე თქვენგანს ტვირ-
თად არ დავწოლოდით.
9 არა იმიტომ, რომ ძალა-
უფლება არ გაგვაჩნია, არა-
მედ რათა ჩვენი თავი მისაბაძ
მაგალითად მოგვეცა.
10 ვინაიდან, როცა თქვენ-
თან ვიმყოფებოდით, ამას
გამცნებდით: „ვისაც შრომა
არ სურს, ის ნუღარც ჭამს,“
11 რადგან გვესმის, რომ
ზოგიერთი თქვენს შორის
უწესოდ იქცევა, არაფერს
აკეთებს, არამედ ფუჭად ფა-
ციფუცობს.
12 ასეთებს ვამცნებთ და
შევაგონებთ ჩვენს უფალ იე-
სო ქრისტეში, რათა მათ
მშვიდი შრომით ჭამონ თავი-
ანთი პური.

ახ შენყვიტოთ ჯეთილის ჯეთება

13 თქვენ კი, ძმებო, ნუ მო-
იწყენთ კეთილი საქმეების
კეთებას.
14 ხოლო თუ ვინმე არ შეის-
მენს ჩვენს სიტყვას ამ წერი-
ლით, შენიშნული გყავდეთ იგი
და ნუ გექნებათ მასთან ურთი-
ერთობა, რათა შერცხვეს.
15 ოღონდ მტრად ნუ მიიჩ-
ნევთ, არამედ ძმასავით დაა-
რიგეთ.
16 თავად მშვიდობის უფალ-
მა მოგცეთ თქვენ მშვიდობა ყო-
ველთვის და ყველგან. უფალი
იყოს ყველა თქვენგანთან.
17 მოკითხვა ჩემი, პავლეს,
ხელით, რაც ნიშანია ყოველ
ჩემს წერილში. მე ასე ვწერ.
18 ჩვენი უფლის იესო
ქრისტეს მადლი იყოს ყვე-
ლასთან თქვენთან. ამინ.